



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 50
29/09/2017

50-04-4-201709291515



„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია (თავმჯდომარე -გ.გორგილაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 20 ოქტომბერი.

4. ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 27 ოქტომბერი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია (თავმჯდომარე - გ.გორგილაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2017 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათამდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2017 წლის 20 დღის 14:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2017 წლის 27 ოქტომბერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2017 წლის -- ოქტომბერი

დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების
„გიორგოული“-ს შექმნის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში
მცხოვრები მოქალაქეების წინადადების მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის #307 დადგენილების მე-4 და მე-6 მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მოწონებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადება ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ.

2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების „გიორგოული“-ს შექმნის შესახებ საკითხე ზედამხედველობა.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე